

2016 წლის ანგარიში

ეროვნული თავდაცვის აკადემია

ფინანსების მართვის სამმართველო

გატარებული ღონისძიებები

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით (BDD) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შეფასება და 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია;
- 2017-2020 წლებისათვის მომზადდა ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის ინდიკატორებისა და პროგრამების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ;
- 2017-2020 წლებისთვის განისაზღვრა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- მომზადდა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და წარედგინა შესაბამის უწყებებს მისი შემდგომი განხილვისა და დამტკიცებისთვის.

მიმდინარე ღონისძიებები

- 2017 წლის ბიუჯეტის პარამეტრების დამტკიცების შემდგომ, აკადემიის გეგმების რეალიზების მიზნით განხორციელდება ფინანსური რესურსების გადანაწილება და კვარტალურ განწერაში ასახვა;
- ხორციელდება კონტროლი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორებაზე, აკადემიის თანამშრომლებზე ხელფასების (კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გასაცემლების) დაანგარიშება და გაცემა, სახაზინო და საბანკო ოპერაციების წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის თანხებზე ვალდებულებების აღება და ხარჯის გაწევა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფა, კვარტალური/წლიური ანგარიშებისა და საბალანსო მონაცემების შედგენა და გაგზავნა შესაბამის უწყებებში.

აკადემიის ბიუჯეტი

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 | 2016 | 2017 |
|------------|------|------|------|
|------------|------|------|------|

| | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
|----------------------------|-----------------------|----------------------|-----------------------|----------------------|-----------------------|----------------------|
| სულ | 16,313.00 | 76.00 | 14,981.60 | 98.20 | 13,570.00 | 100.00 |
| სულ ხარჯები | 15,665.90 | 64.00 | 14,505.20 | 84.20 | 13,272.00 | 75.00 |
| შრომის ანაზღაურება | 11,120.00 | 4.20 | 10,012.90 | 10.00 | 8,941.00 | 10.00 |
| საქონელი და მომსახურება | 3,744.90 | 58.80 | 3,643.30 | 74.00 | 3,544.00 | 75.00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 430.00 | 1.00 | 405.00 | 0.00 | 240.00 | 0.00 |
| სხვა ხარჯები | 371.00 | 0.00 | 444.00 | 0.20 | 547.00 | 0.00 |
| არაფინანსური აქტივობები | 643.00 | 12.00 | 475.30 | 14.00 | 298.00 | 15.00 |
| ვალდებულების კლება | 4.10 | 0.00 | 1.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

შენიშვნა: ბიუჯეტი არ მოიცავს კვებისა და პერსონალის დაზღვევის ხარჯებს.

| დასახელება | 2016 წლის მონაცემებით საკანსო ხარჯი (ლარებში) | |
|----------------------------|---|-------------------|
| | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| სულ | 14 098 479 | 75 560 |
| სულ ხარჯები | 13 663 871 | 66 194 |
| შრომის ანაზღაურება | 9 481 187 | 7 482 |
| საქონელი და მომსახურება | 3 362 937 | 58 712 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 378 932 | 0 |

| | | |
|-----------------------------|---------------|------------|
| სხვა ხარჯები | 440 815 | 0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 434 098 | 9 366 |
| ვალდებულებების კლება | 1 009 | 0 |
| ბიუჯეტის შესრულება % | 99.86% | 77% |

იურიდიული სამმართველო

გატარებული ღონისძიებები

- ✓ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა აკადემიის წესდება ახალი რედაქციით;
- ✓ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა აკადემიის წესდების ცვლილება;
- ✓ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას შორის;
- ✓ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში იუნკერთა/მსმენელთა კვალიფიკაციის მისაღებად/ასამაღლებლად წარსაგზავნ კანდიდატთა შერჩევის საბჭოს დებულება;
- ✓ განხორციელდა წარმომადგენლობა ქ. გორის რაიონულ სასამართლოში საქმეზე „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა“;
- ✓ დაიგეგმა და ჩატარდა აკადემიის აკადემიური საბჭოს 25 სხდომა;
- ✓ იურიდიულ სამმართველოში დამუშავდა 1467 ბრძანება პირადი შემადგენლობისადმი, 674 საორგანიზაციო ბრძანება და 2675 წერილი.

მიმდინარე ღონისძიებები:

- მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო სადისციპლინო წესდებაში ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად და შესატანად;
- მიმდინარეობს მუშაობა აკადემიაში შესყიდვების პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის მოსამზადებლად და დასამტკიცებლად;
- ეთიკის კოდექსში მიმდინარეობს ცვლილებების შეტანა;
- ადმინისტრაციის დებულებაში მიმდინარეობს ცვლილებების შეტანა;

- მიმდინარეობს აკადემიის შინაგანაწესი და სამოქალაქო პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში ცვლილების შემუშავება;
- მიმდინარეობს აკადემიის რექტორის 2014 წლის 25 ნოემბრის №192 ბრძანებაში ცვლილების შეტანა;
- მიმდინარეობს აკადემიის წესდებაში შესატანი ცვლილებების შემუშავება/განხილვა და მიღებისათვის სათანადო პროცედურების განხორციელება.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

გატარებული ღონისძიებები

- სამეთაურო-საშტაბო კოლეჯმა განიცადა სტრუქტურული ცვლილება. კერძოდ, გაერთიანდა სამეთაურო-საშტაბო სკოლა და თავდაცვის უმაღლესი სკოლა;
- შეიცვალა უმცროს ოფიცერთა სკოლის ფიზიკური მომზადების განყოფილების დასახელების ცვლილება და ჩამოყალიბდა სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება;
- საშტატო ნუსხიდან ამოირიცხა კაპიტნის საკარიერო სკოლის, ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსის და დოქტრინების მომზადების სამმართველოს სტრუქტურული ერთეულები;
- წლის განმავლობაში ოთხჯერ განხორციელდა საშტატო ცვლილება.

2016 წლის მონაცემებით

- სამოქალაქო თანამდებობაზე დაინიშნა **27** თანამშრომელი;
- სამხედრო თანამდებობაზე დაინიშნა **44** თანამშრომელი;
- სამოქალაქო თანამდებობიდან გათავისუფლდა **75** თანამშრომელი;
- სამხედრო თანამდებობიდან გათავისუფლდა **73** თანამშრომელი;

2016 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით აკადემიის პირად შემადგენლობაში სულ ირიცხება 999 თანამშრომელი:

- ✓ ოფიცერი - 88 თანამშრომელი
- ✓ სერჟანტ/კაპრალი - 100 თანამშრომელი
- ✓ სამოქალაქო პირი - 358 თანამშრომელი

იუნკერთა ბატალიონი:

- ✓ I კურსი - 128 იუნკერი
- ✓ II კურსი - 111 იუნკერი
- ✓ III კურსი - 102 იუნკერი
- ✓ IV კურსი - 97 იუნკერი

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრა აკადემიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და კურსები.

აკადემიის თანამშრომლები მიმდინარე წლის განმავლობაში დაესწრნენ ქვემოთ ჩამოთვლილ კურსებსა და ტრენინგებს, სულ გადამზადდა 114 თანამშრომელი:

- მმართველობა და სამოქალაქო განათლება;
- კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება;
- შესყიდვების პოლიტიკისა და პროცედურების საკითხები;
- ორგანიზაციული სტრუქტურისა და კრიზისული სიტუაციის მართვის უნარების განვითარება;
- ადამიანური კაპიტალი, მართვის ქვაკუთხედი;
- ადამიანური რესურსების მართვისა და კონსულტაციის უნარების განვითარება;
- ჰიბრიდული ომი და მისგან მომდინარე საფრთხეები;
- ინსტრუქტორის კურსი საბრძოლო მედიკოსებისთვის;
- ინსტრუქტორთა გადამზადების სემინარი;
- რთულ, კონფლიქტურ სიტუაციებში ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების ტრენინგი;
- ეფექტური წერის კურსი;
- სამედიცინო ელექტრონული პროგრამის სწავლება;
- საჯარო მოხელეთა ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხები;
- თავდაცვის მართვა ფართო უსაფრთხოების სექტორში;
- საჯარო გამოსვლები;
- კვლევების ხელშეწყობისა და აკადემიური წერის ონლაინ პროგრამა;
- კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირება;
- საბაზისო კურსის კიბერ უსაფრთხოების თემაზე;
- ა(ა)იპ ქალთა საინფორმაციო ცენტრის პარტნიორობის ფარგლებში;
- ოპერატიული დაგეგმვის პროცესები ნატოში (Operational Planning Procedures in NATO);
- ეფექტური კომუნიკაციის საბაზისო ტრენინგი;
- დროის მართვა;
- სლოვაკეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის პროცესი და გამოცდილება;
- კიბერუსაფრთხოების საბაზისო თეორიულ და პრაქტიკულ კურსი;
- ფონდების მოძიება და დონორებთან ურთიერთობა;
- IT მენეჯმენტი;
- ეროვნული თავდაცვის უმაღლეს კურსი;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) პრაქტიკულ კურსი;
- ტრენერთა ტრენინგი;
- შესყიდვების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;
- ფინანსური მოდელირება ექსელში;

- ბირთვული გაუვრცელებლობა და გლობალური უსაფრთხოება: გლობალური გამოწვევები და შესაძლებლობები;
- საჯარო ფინანსების მართვა.

საშტატო დაკომპლექტება

| ეროვნული თავდასვის საკლდეშია | შტატით | სიით | ვაკანსია | დაკომპლექტება % |
|---------------------------------|-------------|------------|------------|-----------------|
| <i>ოფისერი</i> | 106 | 87 | 19 | 82% |
| <i>სერჟანტ/კაპრალი</i> | 126 | 100 | 26 | 79% |
| <i>იუნკერი</i> | 630 | 438 | 192 | 70% |
| <i>მსმენელი</i> | 90 | 15 | 75 | 17% |
| <i>სამოქალაქო პირი</i> | 408 | 358 | 50 | 88% |
| სულ | 1360 | 998 | 362 | 73% |

შესყიდვების განყოფილება

გატარებული ღონისძიებები

- სამხედრო მოსამსახურეებისათვის სანივთე ქონებით განსაზღვრული სამოსისა და აღჭურვილობის შესყიდვა საერთო ღირებულებით - 657 000 ლარი;
- იუნკერებისა და მომსახურე პერსონალისთვის 150 ცალი ლეპტოპისა და 15 ცალი მაგიდის კომპიუტერებით უზრუნველყოფა, საერთო ღირებულებით - 147 642 ლარი;
- აკადემიის კუთვნილ 23 ავტოსანტრასპორტო საშუალებაზე მოქმედებს სადაზღვევო პირობები, რომელიც ასევე ითვალისწინებს მესამე პირის დაზიანების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებას;
- მიმდინარე წელს განხორციელდა 199 786 ლარის ღირებულების ავტოსანტრასპორტო საშუალებების ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა;

- ბიბლიოთეკის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო პროგრამული პაკეტების, სახელმძღვანელოებისა და წიგნადი ფონდის შევსება;
- ლაზარეთისთვის საჭირო 64 000 ლარის ღირებულების მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების შესყიდვა;
- 61 000 ლარის ღირებულების კარტრიჯებისა და საკანცელარიო საქონლის შესყიდვა;
- აკადემიის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა სარეკლამო ვიდეორგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსება;
- განათლების საერთაშორისო და რეგიონალურ გამოფენებში მონაწილეობის მიღება და ბრენდირებული სარეკლამო მასალების შესყიდვა;
- სასადილოს შენობაში განხორციელდა 87500 ლარის ღირებულების სავენტილაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- აკადემიის ტერიტორიაზე განხორციელდა შენობების სამღებრო სამუშაოები, გამოიცვალა დაზიანებული ბორდიურები და ფილები, საერთო ღირებულებით - 132 000 ლარი;
- აკადემიაში მიმდინარე ღონისძიებების უკეთ გაშუქების მიზნით განხორციელდა 7800 ლარის ღირებულების ვიდეოკამერის შესყიდვა;
- პერიოდულად ხორციელდება საცურაო აუზისა და სასმელი წყლის ლაბორატორიული შემოწმება და შესაბამისი ქიმიური საშუალებების შესყიდვა;
- სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს დაზიანებული იატაკის გამოცვლა და საერთაშორისო სტანდარტების რბილი იატაკის დაგება;
- სატრენაჟორო დარბაზისთვის განხორციელდა 77 000 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარის შესყიდვა;
- მოხდა მემორიალის ქვის შესყიდვა და ქვის შესაბამისი დამუშავება - საერთო ღირებულებით 2410 ლარი.

ზოგადი სტატისტიკა

- 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა - **84**;
- 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - **602**;
- 2016 წლის გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება - **2 366 829,39** ლარი;
- ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია - **242 984,43** ლარი;
- 2016 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი - **98%**.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

გატარებული/მიმდინარე ღონისძიებები

- ✓ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტერიტორიაზე განხორციელდა ბორდიურებისა და ქვაფენილის დემონტაჟისა და მონტაჟის სამუშაოები;
- ✓ საკონფერენციო-სასადილო შენობაში ჩატარდა გათბობისა და გამწოვი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ სპორტულ დარბაზში მოხდა გამყოფი კედლის აშენება და ახალი ტრენაჟორებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟება;
- ✓ სპორტულ დარბაზში დასრულდა იატაკის მოჭიმვითი სამუშაოები;
- ✓ სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს საფარის დაგებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები;
- ✓ ჩატარდა მე-2, მე-5 და მე-6 კორპუსების შიდა კოსმეტიკური სამღებრო სამუშაოები;
- ✓ ეროვნული თავდაცვის აკადემიის დოქტრინების მომზადების სამმართველო გადავიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის შემადგენლობაში, შესაბამისი მატერიალური ქონების გადაცემითა და დოკუმენტაციის გაფორმებით;
- ✓ აკადემიაში დაინერგა მატერიალური მარაგების აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა, დოკუმენტბრუნვისა და აკადემიის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვიანობის ცენტრალიზაციისა და გამარტივებისათვის;
- ✓ განყოფილება ჩართულია აკადემიაში მიმდინარე მატერიალური ქონების ინვენტარიზაციის პროცესში;
- ✓ ეროვნული თავდაცვის აკადემია გახდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის აბონენტი;
- ✓ მიმდინარეობს მემორიალის ქვის განსათავსებელი ტერიტორიის მოპირკეთება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება

გატარებული ღონისძიებები

- აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ქსელების მონიტორინგი და გამართულად მუშაობის კონტროლი (ინტერნეტ ქსელი, თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელი);
- დომეინ კონტროლერის გამართვა და მომხმარებლების 75% გაწევრიანება;

- აკადემიის 4 შენობაში თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელის ჩართვა;
- აკადემიის პერსონალის, არსებული სკოლებისა და იუნკერების კომპიუტერების გამართულად მუშაობის კონტროლი (ოპერაციული სისტემები, საოფისე პროგრამები 1450-მდე კომპიუტერი);
- აკადემიის პერსონალისა და იუნკერებისთვის კონსულტაციის გაწევა;
- აკადემიის ტერიტორიის დაცვის სისტემის დაზიანებული კამერების შეკეთება;
- აკადემიის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიების, ტრენინგისა და ლექციის ტექნიკური უზრუნველყოფა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

გატარებული/მიმდინარე ღონისძიებები

გაშუქებული ვიზიტების რაოდენობა - 140 (ტელევიზიებით გაშუქებული ღონისძიებების რაოდენობა 7)

- საბაკალავრო პროგრამებზე მიღებასთან დაკავშირებით მომზადდა სარეკლამო რგოლი;
- აკადემიის ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის პროექტი „გახდი იუნკერი“, აკადემიამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და რეგიონალურ გამოფენებში, სიუჟეტი მომზადდა სასწავლო წლის დაწყებასა და BCT კურსზე;
- გამოშვებები – იუნკერთა ბატალიონი, საბაკალავრო სკოლა, უმცროს ოფიცერთა სკოლა, სამეთაურო-საშტაბო კურსი და აკადემიის 23 წლის იუბილე;
- უმცროს ოფიცერთა სკოლაში მიღებასთან დაკავშირებით მომზადდა სარეკლამო ფლაიერები, რომლებიც დარიგდა სამედიცინო მოდულის მქონე უნივერსიტეტებში;
- გაშუქდა ლიტერატურული კონკურსი ალერდი 2016, რომლის გამარჯვებული მეოთხე კურსის იუნკერი შიო ყანდორელაშვილი გახდა;
- ინტენსიურად შუქდება იუნკერების სავლე გასვლები, ლექციები, კონფერენციები და შეხვედრები.

კანცელარია

გატარებული ღონისძიებები

ელექტრონული სისტემის “eflow” გარეთ დარეგისტრირებულია **954** დოკუმენტი

- დარეგისტრირდა და გამოიცა 303 აქტი;
- დარეგისტრირდა 20 აკადემიური საბჭოს ოქმი;
- დარეგისტრირდა აკადემიური საბჭოს 88 დადგენილება;

- აღირიცხა 76 გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- გაიცა 32 ცალი დიპლომი სამეთაურო-საშტაბო კურსის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 78 ცალი დიპლომი ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 62 ცალი დიპლომი ძირითადი კურსის (სპეციალიზაცია) კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 102 ცალი დიპლომი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 148 ცალი უცხო ენების სერტიფიკატი და მზადდება 37 ცალი სერტიფიკატი;
- გაიცა 34 ცალი ცნობა უცხო ენის კურსის კურსდამთავრებულებზე;
- მზადდება უცხო ენის კურსის (თურქული) დიპლომები 5 კურსდამთავრებულზე.

ელექტრონული სისტემა “eflow” -ში დარეგისტრირებულია **36757** დოკუმენტი

გენდერული თანასწორობის კუთხით გატარებული ღონისძიებები

- ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ, 2011 წლიდან დაიწყო გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სასწავლო გეგმაში დანერგვა.
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის, როგორც საბაკალავრო, ასევე საკარიერო სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში ჩარიცხულ ყოველ ახალ ნაკადს ყოველწლიურად უტარდება სწავლებები თემაზე: „გენდერული თანასწორობის პრინციპები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები“

აღნიშნული სწავლება სულ გაიარა 1523 პირმა:

- ✓ საბაკალავრო სკოლის - 579 იუნკერმა (მათ შორის 12 ქალი)
- ✓ უმცროს ოფიცერთა სკოლის - 470 მსმენელმა (მათ შორის 8 ქალი)
- ✓ კაპიტნის საკარიერო სკოლის - 337 მსმენელმა (მათ შორის 5 ქალი)
- ✓ სამეთაურო-საშტაბო სკოლის - 91 მსმენელმა
- ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის - 46 თანამშრომელმა

- 2013 წლიდან სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ შეტანილია ეროვნული თავდაცვის აკადემიის სკოლების შესაბამის სასწავლო გეგმაში. დამატებით, 2016 წლიდან მეოთხე კურსის იუნკერებისთვის სასწავლო მოდულში დაინერგა 4 საათიანი შეფასებითი ლექცია გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ.